2020 წლის 15 აპრილი

სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი

სხდომის ჩატარების ადგილი - სხდომა გაიმართა დისტანციურად, ელექტრონული პროგრამა ვებექსის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდნენ სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

დავით ახალაური - თავმჯდომარე

ლელა ბჟალავა - წევრი

თეიმურაზ მესხი - წევრი

გოჩა გარუჩავა - წევრი

სხდომას ასევე ესწრებოდა ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური მენეჯერი - მედეა გამდლიშვილი

სხდომის დაწყების დრო- 13:00 საათი

სხდომის დასრულების დრო - 14:26 საათი

დღის წესრიგი:

1. 2019 წლის ფინანსური აუდიტის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

   სხდომა გახსნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, დავით ახალაურმა. მან მიმართა წევრებს, მსოფლიო პანდემიის პირობების გათვალისწინებით, რომელიც უკავშირდება კორონავირუსის გავრცელებას და თანმდევ პრევენციულ ზომებს, ემსჯელათ და

მიეღოთ გადაწყვეტილება ფინანსური აუდიტის ჩატარებაზე განცხადებების მიღების თაობაზე. კომისიის წევრმა - გოჩა გარუჩავამ განუმარტა წევრებს, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე პერიოდში აუდიტორულ კომპანიებს ეკრძალებათ საქმიანობის განხორციელება და ეს ვადები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, იგი დამოკიდებულია ვითარების გაუმჯობესებაზე. ამიტომ, იმის განსაზღვრა, თუ როდის შეძლებს დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია მოახდინოს ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური აუდიტის ჩატარება, მისი აზრით ჯერჯერობით შეუძლებელია. თუმცა, ბატონმა გოჩამ დაამატა, რომ ნებისმიერ აუდიტორულ კომპანიას შეთავაზების უფლება აქვს და შეძლებენ, რომ გამოცხადებულ კონკურსში მიიღონ მონაწილეობა.

დავით ახალაურმა და თემურაზ მესხმა დაამატეს შემდეგი: იმის გათვალისწინებით, რომ ვერ განისაზღვრება აუდიტის საქმიანობის შეზღუდვის ვადები, უმჯობეს იქნება კონკურსის გამოცხადება და განაცხადების მიღების დაწყება შეზღუდვების პერიოდში, ვინაიდან ვიდრე სარევიზიო კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას და შეარჩევს წარმოდგენილი აუდიტორული კომპანიებიდან ერთ-ერთს, ვითარებაც შეიძლება მეტად ნათელი იყოს და მოგვეცეს აუდიტის ჩატარების ვადების განსაზღვრის საშუალება. თუ ვადების განსაზღვრა განცხადებების წარმოდგენის მომენტისთვისაც ვერ მოხერხდება, პანდემიის და საგანგებო ვითარების გამო, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მოხდეს ხელშეკრულების გაფორმების გადავადება ანდა ხელშეკრულებით განისაზღვროს, რომ ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური აუდიტის ჩატარება დაიწყოს კანონით დაწესებული შეზღუდვების გაუქმების მოხსნის შემდგომ. ლელა ბჟალავა დაეთანხმა თავმჯდომარის და წევრების მიერ გამოთქმულ წინადადებას.

წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0;): **შესაძლო პირველივე შემთხვევაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვისა, განთავსდეს შესაბამის ვებ გვერდზე განცხადება - აუდიტორული მომსახურების მიღების შემოთავაზებებზე და განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს გამოცხადებიდან 1 თვე. ორგანიზაციის ფინანსურ მენეჯერს - მედეა გამდლიშვილს დაევალა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.**
ამასთან, განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ, გონივრულ ვადაში მოხდეს სარევიზიო კომისიის სხდომის ჩანიშვნა, რათა განხილულ იქნას მიღებული შემოთავაზებები.

თავმჯდომარე - დავით ახალაური
წევრი - ლელა ბჟალავა
წევრი - თეიმურაზ მესხი
წევრი - გოჩა გარუჩავა